



13.09.2012

## მინისტრობის ოთხი წელი

სტატიები



ეკა მაღალდაძე თათია ხალიანი

შეუერთდი განხილვას

2008 წლის 1 ნოემბრიდან

გარემოს დაცვის

სამინისტროს გოგა ხაჩიძე

ხელმძღვანელობდა.

ყოფილი მინისტრებიდან ამ

პოზიციაზე მან ყველაზე

დიდხანს იმუშავა.

ოთხწლიანი

მმართველობის შემდეგ

ხაჩიძემ მომავალ

არჩევნებში მონაწილეობის

მისაღებად თანამდებობა

საკუთარი ნებით დატოვა, უკვე ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი კენჭს

### ამავე თემაზე

მანანა ქოჩლაძე - გარემოს დაცვას პრაგმატული მნიშვნელობა აქვს

“რა არის დარიალი თერგის გარეშე?!”

დიდი ჰესები - გადასახლება სვანეთიდან

„დიდი კაშხალი - დიდი უბედურებაა!“

საბჭოთა ნაგავსაყრელები – დაკონსერვებული პრობლემა

კიკვიძის ბაღს ჩეხავენ

არაევროპული არჩევანი

ნაციონალური მოძრაობის სიით იყრის.

ხაჩიძის მინისტრობის პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებსაც ქართველი გარემოსდამცველები, ფაქტობრივად, ერთხმად უარყოფითად აფასებენ.

საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრობლემები აღინიშნა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებშიც.

“არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ კონვენციებთან და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ოქმებთან საქართველოს მიერთების ან მათი რატიფიცირების კუთხით,” - ვკითხულობთ საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ 2011 წლის ანგარიშში.

ფუნქციური ცვლილებები გარემოს დაცვის სამინისტროში, **დიდი ჰესების მშენებლობა**, საკრეაციო ზონების შემცირება, იშვიათ სახეობებზე ნადირობის **დაკანონება**, ხეების მასობრივი **ჭრა**, ეროვნული პარკების ტეროტორიების ნაწილისთვის **სტატუსის მოხსნა**, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, დაინტერესებული საზოგადოებისთვის გადაწყვეტილებებში თანამონაწილეობის შეზღუდვა, - ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლებზეც ქართველი გარემოსდამცველი ორგანიზაციები ბოლო დროს საკმაოდ ხშირად მიუთითებენ.

ფუნქციებდაკარგული სამინისტრო

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივის” ანალიტიკოსი ქეთი გუჯარაიძე იხსენებს, რომ 2004 წლიდან გარემოს დაცვის მინისტრები ძალიან ხშირად იცვლებოდნენ და მათგან მხოლოდ ერთი იყო შედარებით კომპეტენტური, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა. მათი არაკომპეტენტურობა კი გარემოს დაცვის მიმართ დამოკიდებულებაზეც აისახებოდა. გუჯარაიძის თქმით, თუკი “ვარდების რევოლუციის” შემდეგ თანდათან სამინისტროს გამსხვილება და ფუნქციების ცენტრალიზაცია ხდებოდა, ბოლო რამდენიმე წელიწადში განხორციელებულმა ცვლილებებმა, პირიქით, სამინისტროს მოვალეობები შეამცირა. “ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 2011 წელს სამინისტროში განხორციელებული რესტრუქტურისა იყო, რომლის შემდეგაც სამინისტროს ფუნქციები სხვა უწყებებში გადანაწილდა. ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა გარემოსდაცვით მმართველობაზე. მაშინ გადაწყდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო მხოლოდ პოლიტიკის განმსაზღვრელ უწყებად დარჩენილიყო. არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით მოხერხდა, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტო მაინც დარჩა სამინისტროს შემადგენლობაში,” - ამბობს გუჯარაიძე.

მისივე განმარტებით, ფუნქციების გადანაწილებაც არასწორად მოხდა, რადგან ამჟამად ორი მაკონტროლებელი ორგანო არსებობს, ენერგეტიკის სამინისტროს სპეციალური მონიტორინგის სამსახური და გარემოს დაცვის სამინისტროში დარჩენილი ნებართვებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი. “აქ ფუნქციების გადაფარვაც გვაქვს, გაუგებარია, რა რომლის ფუნქციაში შედის. თუმცა, ფაქტია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში კონტროლზე პასუხისმგებელ ნაწილში მხოლოდ 9 კაცი მუშაობს, როგორ შეიძლება 9 ადამიანი ახერხებდეს მთელ საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგს?!”

რეორგანიზაციის შეცდომებსა და ფუნქციების არასწორ გადანაწილებაზე საუბრობს ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა მჭავანაძეც. მისი განმარტებით, წარმოდგენელია ბუნებრივი რესურსები ენერგეტიკის სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენდეს მაშინ, როცა იქ მომხმარებლური პოზიცია ჭარბობს. “ენერგეტიკის სფეროში გადავიდა სატყეო სექტორიც, ხდებოდა ინვენტარიზაციის გარეშე ტყეების იჯარით გასხვისება, ამ ტერიტორიების კონტროლი კი საერთოდ არ ხდება. გარემოს დაცვის სამინისტრო ასეთ ცვლილებას წინ უნდა აღდგომოდა.”

მჭავანაძე აცხადებს, რომ პრობლემებია დაცული ერიტორიების სააგენტოშიც. რადგან თითო ტყის მცველს დაახლოებით 4158 ჰექტარი ფართობი ახარია. “ტყის რეინჯერების ანაზღაურება 420 ლარს არ აღემატება, მათ არც იარაღი აქვთ და არც პირობები, რომ საკუთარი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულონ. ხაჩიძის მინისტრობისასვე კორუფციული გარიგებების ბრალდებით დაიჭირეს გარემოს დაცვის ინსპექციის ძალიან ბევრი თანამშრომელი.”

გარემოსდაცვითი პოლიტიკა და კანონმდებლობა

გუჯარაიძე ფიქრობს, რომ მოვლენები სხვა მინისტრის შემთხვევაშიც იმგვარადვე წარიმართებოდა, რადგან პიროვნებას ამ შემთხვევაში უკანასკნელი როლი აქვს და მთავარი ხელისუფლების დამოკიდებულებაა.

“გარემოს დაცვის სამინისტროს დასუსტება გამიზნული პოლიტიკა იყო. სახელმწიფოსთვის გარემოს დაცვა პრიორიტეტული არ არის, მთავარი მისთვის ინვესტიციების მოზიდვაა. რაც შეეხება გარემოს დაცვას, ის განიხილება როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორი. ამიტომ ასეთი პოლიტიკაა: თუ ვერ გავაუქმებთ, მაშინ დავასუსტებთ. აუცილებელია გამართული ინსტიტუციური პროცედურები, გამართულად მოქმედი სისტემის შემუშავება იმისთვის, რომ პიროვნებების როლი კიდევ უფრო შემცირდეს.”

გუჯარაიძის თქმით, ხაჩიძის მინისტრობის პერიოდში, პრაქტიკულად, არც კანონმდებლობა გაუმჯობესებულა. “იგივე მდგომარეობაა სექტორულ

კანონმდებლობაში. წყლის, ჰაერის, მრავალფეროვნების კუთხითაც, ნარჩენების მართვის სფეროში კანონი დღემდე არ არსებობს და ამაზეც არავინ ფიქრობს.”

“მწვანე ალტერნატივაში” იხსენებენ, რომ ორიოდ წლის წინ სამინისტროში სპეციალური ჯგუფი მუშაობდა, რომელსაც გარემოსდაცვითი კოდექსი უნდა მოემზადებინა, თუმცა, არავინ იცის, რა შედეგით დასრულდა ამ ჯგუფის მუშაობა.

2011 წლის 16 მარტს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც შესაძლებელი გახდა, რომ დაინტერესებულ პირსა და ენერჯეტიკის სამინისტროს შორის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში განუსაზღვრელი ვადით დაიდოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კონკრეტულ ტერიტორიაზე დაინტერესებულ პირს ნებისმიერი ქმედება კანონიერად ჩაეთვლება და გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ, მასზე არ გავრცელდება არანაირი სახის სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. შეთანხმების გაფორმების შემდეგ არც ერთ ორგანოს არ ექნება უფლება, შეამოწმოს ან უჩივლოს ამ პირს. გარემოს დაცვის სამინისტროს შეთანხმების დადებისას არანაირი როლი აღარ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე უშუალოდ გარემოს ეხება.

დაახლოებით ამავე პერიოდში საჯარო განხილვის გარეშე დაჩქარებული წესით შეიცვალა კანონი ბირთვული უსაფრთხოების სფეროშიც. დაშვებული გახდა რადიოაქტიური ნარჩენების რეექსპორტიც და აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ტრანზიტი და ექსპორტ-იმპორტი,

გასულ წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ნებადართული გახდა რამდენიმე იშვიათ სახეობაზე ნადირობაც. აქამდე, ქართული კანონმდებლობით, წითელი ნუსხის ყველა სახეობაზე ნადირობა იკრძალებოდა.

დაინტერესებული საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე

არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ ბოლო წლებში სამინისტრო საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრ ვალდებულებებსაც არღვევდა. მაგალითად, პროექტების დამტკიცებისას სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი დაინტერესებული საზოგადოების თანამონაწილეობა, რითიც დაირღვა ორჰუსის კონვენცია, რომელზეც საქართველო აწერს ხელს. თუმცა, 2005 წელს მიღებული ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონმა დაინტერესებულ პირებს კონკრეტული პროექტების განხორციელებაში ჩართვის შესაძლებლობა წაართვა. საუბარია იმაზე, რომ თუ კონკრეტული მშენებლობა, ან სხვა პროექტი გავლენას ახდენს სხვებზე, გარემოს დაცვის სამინისტრო ვერ გასცემდა ნებართვას პროექტის საჯარო განხილვაში ამ ადამიანების მონაწილეობის გარეშე. ეს პრინციპი კანონმდებლობაში შეიცვალა, ასე რომ, გარემოს დაცვის სამინისტრო უკვე ოფიციალურადაც აღარ ხელმძღვანელობს იმ პრინციპებით,

რომელთა შესრულების ვალდებულებაც საერთაშორისო კონვენციით აქვს.

2011 წელს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ ორჰუსის ცენტრის სამდივნოში კონვენციის განხორციელების ალტერნატიული ანგარიში წარადგინა, რადგან ორგანიზაციაში მიიჩნეს, რომ სამინისტროს წარდგენილი დოკუმენტი მცდარი ინფორმაციით იყო სავსე.

## პროექტები

### ჰესები

ხაჩიძის მინისტრობის პერიოდში ქვეყანაში დიდი ჰესების მშენებლობა გააქტიურდა. გარემოსდამცველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ კაშხლების მშენებლობა იმ ფორმით რა ფორმითაც ხდება, დაუშვებელია.

“გრინფისის” მხარდამჭერთა ჯგუფის“ ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილის ამბობს, რომ კლიმატის და ლანდშაფტის ცვლილებასთან ერთად, საქართველოში ჰესების მშენებლობა, შესაძლოა, სხვა კუთხითაც იყოს საშიში: „რეგიონში საკმაოდ მაღალია სეისმურობა, არის სამხედრო რისკებიც რუსეთის მხრიდან, გარდა ამისა, მშენებლობის დაბალი სტანდარტებია. ამასთან, ჰესებს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები ახორციელებენ, ცხადია, რომ არც სახელმწიფო ინტერესებია დაცული.“

ხელისუფლების არგუმენტი, რომ ჰესების მშენებლობა ენერგოდამოუკიდებლობას მოგვითანს, სარწმუნოდ არ მიაჩნია მანანა ქოჩლაძესაც, მისი განმარტებით, შეუძლებელია გამომუშავებული ენერგია ერთდროულად ექსპორტზეც გავიდეს და ქვეყნის შიდა მოხმარებაშიც. შესაბამისად, ეს არც ტარიფის შემცირებას გამოიწვევს და არც ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას, რადგან ექსპორტის შედეგად ქვეყანას მხოლოდ მოგებისა და ქონების გადასახადი დარჩება, დაახლოებით ისევე, როგორც ჩვეულებრივი კომპანიიდან, რომელიც გარემოს არ აზიანებს.

გარემოსდამცველები იხსენებენ, რომ მშენებლობები კანონდარღვევებით მიმდინარეობდა, მაგალითად, დარიალჰესის მშენებლობა სექტემბრის ბოლოს ისე დაიწყო, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ არსებობდა, სამინისტრომ ის მხოლოდ მ 2 თვის შემდეგ გასცა ისიც მას მერე, რაც ამ დოკუმენტით ორგანიზაციები დაინტერესდნენ.

“მწვანე ალტერნატივაში” მიაჩნიათ, რომ განვითარების პროექტების დადებითი ფაქტორები და შედეგები გასაგებია, თუმცა, სამინისტროსგან შესაბამისი არგუმენტები არასდროს ჩანდა.

“გასაგებია, რომ საჭიროა ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდოს, დასაქმება, ტურიზმის

განვითარება მნიშვნელოვანია, მაგრამ გარემოს დაცვის სამინისტრო სწორედ იმიტომ ფუნქციონირებს, რომ ითვალისწინებდეს პროექტების შესაძლო რისკებს გარემოს დაცვის კუთხით. გამაოგნებელი და გულდასაწყვეტია, როცა ამ რისკებზე არასამთავრობო ორგანიზაციები მივუთითებთ, სამინისტროდან კი მხარდაჭერა არ არის. სამინისტრო, ფაქტობრივად, ძალიან სუსტი, ხელწამოსაკრავი და ადვილად დასაყოლიებელი უწყებაა. იქ სადაც გარემოს დამცველის პოზიციაა საჭირო, სამინისტრო არასდროს არაა ჩვენი მოკავშირე,” - აცხადებენ “მწვანე ალტერნატივაში”.

## ლაზიკა

ეკოლოგიურ საფრთხეებს უკავშირდება ახალი ქალაქის, ლაზიკის მშენებლობაც, რომლისთვისაც კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ნაწილს სტატუსი მოეხსნა, პარკი ამავე დროს რამსარის საერთაშორისო კონვენციითაა დაცული, ამ კონვენციის სამდივნოსთვის კი ცვლილებების შეტანის სურვილის შესახებ არავის უცნობებია. ქოჩლაძის განმარტებით, ანაკლია-ფოთის მონაკვეთი ისედაც საკმაოდ პრობლემურია, და ახალი ქალაქის ასაშენებლად ჭაობების დაშრობა ბიომრავალფეროვნების ცვლილებასთან ერთად ეკოლოგიურ საფრთხეებსაც გაზრდის, რადგან სანაპირო ზოლში მტკნარი წყლის არსებობა ამ ტერიტორიას ზღვის შემოტევისგან იცავს.

## ზესტაფონის ფერო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე ფუნქციონირებდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაც. რისთვისაც კომპანია 10 000 ლარით დაჯარიმდა. გაზაფხულზე ქარხნიდან რამდენჯერმე მოხდა ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, მძიმე ინტოქსიკაციით რამდენიმე ადამიანი საავადმყოფოშიც მოხვდა,

## ქალაქი სარეკრეაციო ზონების გარეშე

“ეკოლოგიური სამართლის ცენტრში” აცხადებენ, რომ ხაჩიძის მინისტრობის პერიოდს ბევრი არაგარემოსდაცვითი ქმედება უკავშირდება: “ამ პერიოდში მხოლოდ თბილისში 41 ერთეულს მოეხსნა სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ნებადართული გახდა მშენებლობა, ხეები მასობრივად მოიჭრა კიკვიძის ბაღში, მზიურში, იპოდრომთან, დიღმის ტყე-პარკში, კორტებთან, დედაენის ბაღში, მოსკოვის გამზირთან . არც ერთ ასეთ ფაქტზე, არც თავისით, არც ჩვენი მიმართვების შემდეგ გარემოს დაცვის მინისტრს არაფერი უთქვამს,” - ამბობს მჟავანაძე.

თებერვალში კიკვიძის ბაღის გადასარჩენად მოსახლეობა ბაღში ღამითაც რჩებოდა, მაისში კი დედაქალაქში ხეების მასობრივი ჭრის წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქციებიც გამართეს. სახალხო დამცველმა სპეციალური

რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს , რომ დაესაჯათ ის ადამიანები, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

უკვე ყოფილი მინისტრი ნაცმოძრაობის პარტიულ სიაში 32-ე ნომერია.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

**Comment**

Facebook social plugin

